

სახელთა უწყობა ბრუნვებში აციებს ტიპის ზმნებთან

ახალ ქართულში აციებს (მაციებს, გაციებს) ზმნა გარკვეული მნიშვნელობით მხოლოდ ობიექტური პირების მიხედვით იცვლება და მას მხოლოდ ერთი პირის — ობიექტურის — გაგება აქვს. კერძოდ, ასეა იმ შემთხვევაში, თუ ზმნას ასეთი მნიშვნელობა აქვს: „ციებ-ცხელება სჭირს, ციების შეტევები აქვს“ ან „სიცივე აიტანს, აყრუოლებს“. იგივე ითქმის აცხელებს (მაცხელებს, გაცხელებს) და აცივ-აცივლებს (მაცივ-მაცივლებს, გაცივ-გაცივლებს) ზმნების შესახებ: ორივე მხოლოდ ობიექტური პირის მიხედვით იცვლება და მხოლოდ ერთ პირს, ობიექტურ პირს შეიწყობს.

მაგალითები:

ციება დამაწყებინა, მთელი ორი კვირა მაცივა (ი. გოგებ.).

მაციებ და, ლოგინად ვიყავ ჩავარდნილი (მ. ჭავჭავ.).

რა მოგდის... ხომ არ გაციებს? (მ. ჭავჭავ.).

შიშით გვაცივლებ და (ე. ნინოშ.).

მე ველარ ვუღარაჯებ, მაცივ-მაცივლებს (ს. შანშ.).

ეს ზმნები ფორმით ორპირიანი ზმნებია: თითოეულ მათგანს მოეპოვება როგორც სუბიექტური პირის ნიშანი, ისე ობიექტური პირის ნიშნებიც. ზემომოყვანილ მაგალითებში სუბიექტური პირის ნიშნებია სუფიქსები -ა და -ს, ხოლო ობიექტური პირისა — პრეფიქსები მ-, გ- და გვ- (ეს უკანასკნელი მრავლობით რიცხვში).

თუ წინადადებაში ამ ტიპის ზმნა აწმყოს წყების რომელიმე ფორმითაა გამოხატული, მასთან დაკავშირებული სახელი — მორფოლოგიური ობიექტი — ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას. რაც შეეხება მორფოლოგიურ სუბიექტს, იგი შეიძლება ასეთ ზმნებს მხოლოდ მესამე პირისა ახლდეს, პირველი და მეორე პირის მორფოლოგიური სუბიექტი ამ ზმნებს ამ მნიშვნელობით არ შეეწყობა. ის კი არა, მესამე პირის მორფოლოგიური სუბიექტიც ასეთ ზმნებთან კონკრეტულად არ

ჩანს, სუბიექტად გამოყენებულ სახელის შეწყობა ასეთ ზმნებთან არ შეიძლება, ზმნა იმპერსონალურია¹.

მისას საბრალო დედას აციებდა (დ. შვგრ.).

ოლაგ-ოლაგ ქათმეხსაც კი აციებს ხოლმე (ი. გოგებ.).

დედას მუღამ აციებდა, ფერი ელო ყვითელ-მწვანე (გ. ლეონ.).

სხვა ვითარებაა, როდესაც ამ ტიპის ზმნა დრო-კილოთა მეორე წყებაშია, ნამყო ძირითადისა თუ კავშირებითი II-ის ფორმითაა წინადადებაში (გააცია ან გააციოს). ამ შემთხვევაში ასეთ ზმნებთან მორფოლოგიური ობიექტი ან მიცემით ბრუნვაში დგას, ან სახელობითში. ასე რომ აციებს (შაციებს, გაციებს) ტიპის ზმნა დრო-კილოთა მეორე წყების ფორმებში მორფოლოგიური ობიექტის ბრუნვის თვალსაზრისით ორგვარ კონსტრუქციას ქმნის: მიცემით ბრუნვიანს და სახელობით ბრუნვიანს: გააცია ბავშვს ან გააცია ბავშვი.

ამ ფაქტში ასახულია ის ვითარება, რომელიც გვაქვს ქართულ კილოებში: ზოგ კილოში პირველი რიგის ვითარება დასტურდება, ზოგში კიდეც, მაგალითად, ქართულურსა და ზოგ სხვა აღმოსავლურ კილოში, მეორე რიგის ფორმები გვაქვს².

ორივე შემთხვევაში ზმნა უპიროა, იმპერსონალური, უსუბიექტო.

პირველ შემთხვევაში მას ბრუნვაუცვალებელი ობიექტი შეეწყობა მხოლოდ; ზმნის აგებულება ისეთია, რომ სუბიექტი ბრუნვაუცვალებადი უნდა იყოს. ვიღებთ სუბიექტ-ობიექტის ბრუნვათა შეხამების ასეთ ფორმულებს: დრო-კილოთა პირველ წყებაში — [იგი] მას, მეორე წყებაში — [მან] მას, მესამე წყებაში — [მას] (მისთვის): [გა]აცაებს [იგი] მას; გააცია, შეაცია [მან] მას; გაუციებია, შეუციებია [მას] (მისთვის). მაშასადამე, ზმნა წარმოშობით გარდამავალია და სამპირიანი, ოღონდ არა ჩანს ბრუნვაუცვალებადი ობიექტი, იგი დაკარგულია, და გაუჩინარებულია სუბიექტი.

მეორე შემთხვევაშიც თავდაპირველი ბრუნვაუცვალებადი ობიექტი გამქრალია და ბრუნვაუცვალებელი ობიექტია ქცეული ბრუნვაუცვალებადად. ვიღებთ ასეთ ფორმულებს: დრო-კილოთა პირველ წყებაში — [იგი] მას, დრო-კილოთა მეორე წყებაში — [მან] იგი, დრო-კი-

1 დ. უზნაძე, Impersonalia: ჩვენი მკვნიერება, 1923, № 1, გვ. 25; ა. შანთაძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, № 7, 1961, გვ. 224.

2 ამ კონსტრუქციათა კილოურ განსხვავებას გახაზავდა სილოვან ხუნდაძე, რომელიც მიუთითებდა, რომ ამერეთში იხმარება სახელობითიანი კონსტრუქცია, ხოლო იმერეთში — მიცემითიანი კონსტრუქციაო. ერთადერთ ლიტერატურულ კონსტრუქციად მას მიცემითიანი მიაჩნდა (ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 67).

ლოთა მესამე წყებაში — [მას] იგი: [გა]აციებს [იგი] მას, გააცია [მან] იგი, გაუციებია [მას] იგი.

ამგვარი რამ სხვა ზმნებშიც შეიმჩნევა. მაგალითად, ავილოთ დაჰ-
პატიუებს ზმნა. ეს გარდამავალი ზმნა, როგორც ცნობილია, სამპირიანი
იყო: დაჰპატიუებს ის მას მას, დაჰპატიუა მან მას იგი, დაუპატიუებია
მას (მისთვის) იგი: „მივიდა მეფე და მოატანინა ბურთი და ჩოგანი და
დაჰპატიუა ბურთაობა ყარამან მეფემან ყაისსა“
(რუსუდანიანი, გვ. 331). ამ ზმნამ დაკარგა ბრუნვაცვალებადი ობიექ-
ტი და ორპირიანი გახდა, შერჩა ბრუნვაცვალებელი ობიექტი. მივი-
ღეთ: დაჰპატიუებს იგი მას, დაჰპატიუა მან მას, დაუპატიუებია მას
(მისთვის). ეს ვითარებაა დაცული გარეკახურში: „დავპატიუე ზმნა მო-
ითხოვს მიცემითს ბრუნვას და არა სახელობითს: მაგალითად: „დაჰპა-
ტიუეს ხალხსა... მოდი, ერთი ხელმწიფეს დავპატიჯოთო... აბა ერთი ჩემს
ცოლსა დავპატიჯოთო...“³

მაგრამ სალიტერატურო ენასა და კილოთა უმრავლესობაში ეს
პროცესი უფრო შორს წავიდა: ბრუნვაცვალებელი ობიექტი ბრუნვა-
ცვალებადი გახდა და მივიღეთ: დაჰპატიუებს ის მას, დაჰპატიუა მან
იგი, დაუპატიუებია მას იგი.

ასეთივეა ასწევს ზმნა, რომელსაც დრო-კილოთა მეორე წყებაში
სუბიექტ-ობიექტი ასე შეეწყობა: ასწია მან იგი; მაგრამ დიალექტებ-
შიც და შემდგომ სალიტერატურო ენაშიც ხშირად ასეც გვხვდება:
ასწია მან მას („ასწია კარახანასა, მოიყუდა და დასცალა“. —
ვჟა). აქაც დაკარგულია ბრუნვაცვალებადი ობიექტი, ხოლო ბრუნვა-
უცვალებელი ობიექტი ზმნას შემორჩენილი აქვს მეორე შემთხვევაში
უცვლელად, პირველ შემთხვევაში კი ეს ბრუნვაცვალებელი ობიექ-
ტი ბრუნვაცვალებადი დააქცეული⁴.

საანალიზო გააციებს ზმნაშიც ასეთივე სურათი გვაქვს. ოღონდ აქ
ვითარება კიდევ უფრო გართულებულია იმ მხრივ, რომ, რაკი ზმნა
იმპერსონალურია და, მაშასადამე, სუბიექტი გაუჩინარებული, შერჩე-
ნილი ობიექტი ორპირიანი გარდაუვალი ინვერსიული ზმნის რეალუ-
რი სუბიექტის მსგავსი ხდება, აქტიურდება. ასე განსაკუთრებით იმ შემ-
თხვევაში ხდება, როცა ეს ობიექტი ბრუნვაცვალებელადაა დარჩე-
ნილი (შდრ. შეეშინდა მას და გააცია მას).

³ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, ივ. ჯავახი-
შვილისადმი მიძღვნილი კრებული, ტფილისი, 1925, გვ. 79.

⁴ ა. შანიძე, ვჟა-ფშაველას ლექსიკიდან, ქართული ენა და ლიტერატურა
სკოლაში, № 3, 1967, გვ. 10.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ზმნასთან დრო-კილოთა მეორე წყების ფორმებში (გააცია, გააციოს) მორფოლოგიური ობიექტი ძირითადად მაინც მიცემითში გვხვდება.

მეორე დღეს გააცია თურმე ამბროსის (ე. გამს.).

ლაფარეს გააცია („ლიტ. საქ.“).

... ამერიკელი ელის ზი შვებულეებიდან... ბრუნდებოდა. ბის ვზაში შეაცივა („ციკარი“).

ძირითადად მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტით გვხვდება ეს ზმნა დრო-კილოთა მეორე წყების ფორმებში XIX ს. II ნახევრის მწერალთა ენაშიც.

კაჭკაჭს გააცივა და გააცხელა შიშისაგან (ვაჟა).

ამჟამად დაეტყო, რომ იმას გააცივა (ა. ყაზბ.).

იმ საღამოს სპირიტონს ძლიერ მძლავრად გააცივა (ე. ნინოშ.).

ასევე გააცხელა ზმნაც.

კაჭკაჭს... გააცხელა შიშისაგან (ვაჟა).

იმ ღამეს ნინოს საშინლად გააცხელა (რ. ერისთ.).

სახელობითბრუნვიანი კონსტრუქციები ამ ზმნის ნამყოფი ძირითადის ფორმებთან შედარებით უფრო იშვიათია. ასეთი ფორმები გვხვდება ნ. ლომოურისა და ს. მგალობლიშვილის ენაში, რაც ქართლური დიალექტის გავლენას უნდა მიეწეროს.

მეოთხე კვირის ერთ საღამოს ჩემი უნცროსი ბიძა გააცივა (ნ. ლომ.).

ურისა და მის ამაღის გაცლის შემდეგ დათუა გააცივა (ნ. ლომ., „ალი“)⁵.

გააცივ-გააცხელა თინა, მოიკუნტა... როგორც ზღარბი (ს. მგალობ.).

ასევეა თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ზღაპრებშიც.

მღვდელს რომ ხემწიფის კაცი მოჰვიდა, ხუცესი შიშით და ელდით გააცია და გააცხელა (თ. რაზიკა)⁶.

რით უნდა აიხსნას, რომ ამ ზმნის ერთი და იგივე ფორმა მნიშვნელობის შეუცვლელად ორგვარ კონსტრუქციას იძლევა მორფოლოგიური ობიექტის მიხედვით — მიცემითბრუნვიანს და სახელობითბრუნვიანს, რამდენად გამართლებულია გააცია ზმნასთან ობიექტის მიცემითში ხმარება? რომელ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით?

⁵ მაგალითი მოგვყავს 1913 წ. ცალკე გამოცემის მიხედვით. მერმინდელ გამოცემებში ეს ადგილი გაუსწორებიათ და ასე იკითხება: „დათუას გააცივა“.

⁶ ხალხური ზღაპრები, ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, ტფილისი, 1909.

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა წარმოგვედგინა ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების ჩვენება, რამდენადაც ამ ძეგლებში აციებს ტიპის ზმნები საკმაოდ ხშირად გვხვდება.

უძველესი სამკურნალო წიგნები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, რუსთაველის ხანას, XII—XIII საუკუნეებს, მიეკუთვნება⁷ და მდიდარ ტრადიციებზე ჩანს შექმნილი.

ადრინდელ ძეგლებში ციების მნიშვნელობით იხმარებოდა ცხრო, ცხროება და შესაბამისად აცხროებს, გააცხროა ზმნური ფორმები გვაქვს. ცხრო — საბას განმარტებით, „სიცხიან დაავადებას“ ნიშნავს, სამკურნალო ხასიათის ძეგლებში ასევე ცხელება, ციებ-ციხელებას და სიცხიან დაავადებას ნიშნავს. ზმნის ფორმა ასეა ნაწარმოები: ა-ცხროება-ს, ხოლო აქედან მასდარი — ცხროება.

აგებულების მხრივ ეს ზმნა სავსებით ისეთივეა, როგორც აციებს-ციება, ცხელება და შესაბამისად — აციებს, აცხელებს ზმნები უფრო მერმინდელ ძეგლებში გვხვდება, მაგალითად, დავით ბატონიშვილის სამკურნალო წიგნში „იადიგარ დაუღში“, რომელიც XVI საუკუნეს მიეკუთვნება.

და კაცსა რომე ყოველთა დღეთა აცივებდეს და აცხელებდეს... (იადიგარ დაუღი).

კაცსა ისე გააცივებს, რომე კბილებს ერთმანეთზედა სცემდეს (იადიგარ დაუღი).

სიღამდი კაცსა გააცხელებდეს (იადიგარ დაუღი).

და რომე კაცსა ხან შუა დღე გააცივებს და გააცხელებს (იადიგარ დაუღი).

მოყვანილ მაგალითებში ზმნა აწმყოს წყების ფორმიტაა გამოხატული და მორფოლოგიური ობიექტიც მიცემით ბრუნვაში დგას.

დრო-კილოთა მეორე წყების ფორმებში აციებს ტიპის ზმნებთან ქართულ სამედიცინო ძეგლებში სახელობითბრუნვიანი კონსტრუქციები გვხვდება — ობიექტი სახელობით ბრუნვაშია ნამყო ძირითადისა და კავშირებითი II-ის ფორმებთან.

და მაშინ გააცხროოს კაცი (წიგნი სააქიმოა).

თუ კაცი გააცხროვოს და მხურვალად... იყოდე, სნეულება მისი გრძელი არის (უხწორო კარაბადინი).

ამისი ნიშანი და აღმათი ეს არის, რომე კაცი ცოტად გააცხელოს და მწოვედ გააციოს (იადიგარ დაუღი).

თუ კაცი გააცხელოს და გული მწოვედ გაუხურდეს... ამა ცხელებასა ჰომაი დიყი ჰქუიან (იადიგარ დაუღი).

და კაცი რომე პირველ გააცხელოს... (იადიგარ დაუღი).

7 ილ. აბულაძე, ძველი ქართული და ძველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობიდან. „საბჭოთა მედიცინა“, № 4, 1959, გვ. 58.

ანგარიშგასაწევრი ფაქტია, რომ აღნიშნულ ძეგლებში ეს ზმნებთ მორფოლოგიურ, სუბიექტსაც შეიწყობენ და ორპირიანი გავებით იხმარებიან. სუბიექტად მასდარის ფორმებია — ციება და ცხელება. ეს მოვლენა მეორეული ჩანს: უსუბიექტო ფორმებს სუბიექტი გაუჩნდა.

ესე ცხელება მედმად ერთსა ბორჯალზედა გააცხელებს (იადიგარ დაუდი).

ესე ციება და ცხელება ყოველთა დღეთა მოჟუა და გააცხელებს (იადიგარ დაუდი).

ესე ცხელება ერთსა დღესა აცლის და ერთსა დღესა გააცხელებს (იადიგარ დაუდი).

არ იქნება ზედმეტი დავიძოწმით საილუსტრაციო მაგალითი XVIII ს. ერთი ლექსიდანაც, რომელიც ციებ-ციხელებაზე გამოუთქვამს პოეტ ქალს მანანას⁸.

მანანა ასე მიმართავს ციებას:

ციცხლი მოგედვა, ციებავ,
რა მე შენ შემეყარეო,
შვიდი თვე შაცივ-შაცხელე,
ჩემი დღე დამამწარეო.

და შემდეგ:

ციებ-ციხელებავ, ჩემზედა
რაზედ აიღე შურია,
ნეტაი შემატყობინა,
თათარი ხარ თუ ურია!

ციების პასუხი ასეთია:

რა დაგემართა, მანანავ,
მე მოგეკიდე მშვიდათა,
ხანდახან გაგაცივებდი,
ხან გამყოფებდი თბილათა.

აქ ეს ზმნა ორპირიანია, გარდამავალი და სხვადასხვა რეალური ფორმითაა წარმოდგენილი. ხოლო ციება, ციებ-ციხელება რეალურ სუბიექტადაა გამოყვანილი.

აციებს ზმნასთან ზემოდასახელებული მეორეული რეალური სუბიექტი ახალ ქართულში არც იხმარება და არც იგულისხმება. ციება მაციებს, ციებამ გამაცია უჩვეულო გამონათქვამებია ახალ ქართულში ისევე, როგორც წვიმა წვიმს, თოვლი თოვს. ეს უკანასკნელი გამო-

⁸ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბილისი, 1936.

ნათქვამები გარკვეული სტილისტიკური მიზნით კიდევაცაა ხმარებული პოეტურ მეტყველებაში⁹.

აციებს ზმნა ნასახელარია; ნაწარმოებია ცივ სახელური ფუძისაგან და, როგორც აღინიშნა, ორგვარი მნიშვნელობით იხმარება:

ერთი მნიშვნელობით (**აცივებს — გაცივება**) იგი ორპირიანი გარდამავალი ზმნაა და ნიშნავს „ცივს ხდის, სითბოს უკარგავს“ რაღაცას. ამ მნიშვნელობით ზმნა იხმარება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობით.

სუბიექტური წყობა: აცივებს ქალი წყალს.

გაცივებ ქალმა წყალი.

ობიექტური წყობა: „დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალელებს, მაცივებს და არ მათბობს“ (ილია).

სემანტიკურად განსხვავდება მისგან ზემოთ განხილული ზმნა **აციებს**. როგორც აღინიშნა, ეს ზმნა ფორმით ორპირიანია. ზმნაში წარმოდგენილია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ნიშნები.

მ-აციებ-ს

გ-აციებ-ს

აციებ-ს¹⁰

აციებს ზმნა იმპერსონალურ ზმნათა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც ადამიანისა თუ ცოცხალი არსების ფიზიკურ მდგომარეობას გამოხატავს. ამ ჯგუფში შემავალ ზმნებს ერთ შემთხვევაში ორპირიანი გარდამავალი ზმნის მნიშვნელობა აქვთ და როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობით იხმარებიან, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ ობიექტური წყობით იხმარებიან და ერთპირიანი ზმნის გაგება აქვთ.

ასეთი ზმნებია:

აჟრჟოლებს (მაჟრჟოლებს, გაჟრჟოლებს)

აჟრიალებს (მაჟრიალებს, გაჟრიალებს)

აზრიალებს (მაზრიალებს, გაზრიალებს)

აბაბანებს (მაბაბანებს, გაბაბანებს)

9 შდრ. მაგალითად, „თოვლი თოვს, ქარი ბობოქრობს, ყელზე შეაკრულა მთებისა“ (ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“).

10 ამჟამად ეს ორი ლექსიკური ერთეული ორთოგრაფიულადაც განსხვავებულია: **აცივებს (გაცივება)** ორპირიანი მნიშვნელობით იხმარება, ხოლო **აციებს (ციება)** ერთპირიანია და იმპერსონალური მნიშვნელობისაა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რვა ტომად, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1950; ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი. 1941, 1946, 1949; ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1968).

ათახთახებს (მათახთახებს, გათახთახებს)
 აკანკალებს (მაკანკალებს, გაკანკალებს)
 აცახცახებს (მაცახცახებს, გაცახცახებს)
 აძაგძაგებს (მაძაგძაგებს, გაძაგძაგებს)
 აჟიჟინებს (მაჟიჟინებს, გაჟიჟინებს)
 აზიზინებს (მაზიზინებს, გაზიზინებს)

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს გაციებს ტიპის ზმნებისას, რომელთაც მეორეული რეალური სუბიექტი აქვთ.

თხელ ნესტოებს თავის ლურჯასავით აცახცახებდა [არსენა] (მ. ჯავახ.).
 საზანდარმა ღამე ააცახცახა, აეთანდლის მწვადი ცეცხლზე უხიოდა (გ. ლეონ.).

[ცხენმა] ფეხი გაიქნია, მთელი ტანი დააძაგძაგა უღონოდ და ღეჟა განაგრძო (გ. რჩეულ.).

ქარი წამოუბერავდა ხოლმე და ცის გამოსახულებას ააკანკალებდა გუბეში (გ. რჩეულ.).

ეს უცნაური სიჩუმე და იქვე ყურს უქან ატეხილი მძლავრი ქშენა თვალუბაბრმავებულ ცხენს აკრთობდა და აკანკალებდა (გ. შატბ.).

ათრთოლებთ ტანში სიცოცხლე, ჩამოსდით ცრემლი მწარეა (ვაჟა).
 ყოველი მოახლოებდა... სანეტარო მოლოდინით აცახცახებდა (ა. ყაზბ.).

შენ აგაყრყოლებს ამწვანებული ახლად უღვაში (რ. ერისთ.).
 ტანში გამაყრყოლა ამ საშინელმა ამბავმა (ე. ნინოშ.).
 ცივმა ნიავმა ააძაგძაგა (შ. არაგვ.).
 არ გვათრთოლებდა შური და მტრობა (გ. ტაბ.).
 მთები ნისლეშში იძირებოდნენ და მათრთოლებდა ცის სიახლოვე (ტ. კალ.).

ახლა წარმოვადგენთ აციებს ტიპის ისეთ ზმნებს, რომელთაც მხოლოდ ობიექტური წყობა აქვთ და რეალური სუბიექტი არ ახლავთ.

მეტად მწარედ გული მტკივა, მაყრყოლებს და ტანში მზარავს (დ. გურამ.).

ერთი ღონიერად გააკანკალა, გაციებულსავეით შეაყრყოლა (ნ. ლომ.).
 მაროს... შეაკანკალებდა ხოლმე (ნ. ლომ.).

შეაკანკალა, სახე მოედრებლა (ბ. შანშ.).
 მთელი ტანით ამაკანკალა (ა. ხახუტ.).

შიშით მაციებს, მთელ ტანში მაკანკალებს (პ. კაკაბ.).
 სანდროს სულ ათახთახებდა (შ. არაგვ.).

თაფლოს ალი აუვარდა სახეზე... შეაძაგძაგა (ბ. ჩხ.).
 საწყალი ბერიკაცი სულ თრთოდა, თითქოს აცახცახებდა (ილია).

მოტეხილი ფეხი მალლა აეშვირა და გაციებულსავეით ძალზე აცახცახებდა [ძაღლს] (ნ. ლომ.).

ყველას აცახცახებდა გესტაპოს შიშით („ლატ. და ხელ.“).
 ტირილისაგან ისე აძიგძიგებდა ალისს, რომ ენა ძლივს დაიმორჩილა (ვ. ჰელ. თარგმ.).

ვენიშნებ თოფსა და მაშინაც ტანში მათრთოლებს (ვაჟა).

ტანში შემაერთოლა და ფერი მეცვალა (ილია).

აერთოლებს მონადირესა, თითქოს შეპყროდეს ციება (ვაჟა).

მაიას სიმწრით ტანში აერთოლებს (ს. შგლოზ.).

გაციებულსავით შეაერთოლა [ცხენს] (ნ. ლომ.).

შოთავადს გააერთოლებს და წამოდგება (შ. არაგვ.).

ნეტარებაში აერთოლებთ ვახეებს (რ. მარგ.).

ტანში შეაერთოლა (ლ. ქიაჩ.).

შიშით ახლაც კი მაერთიალებს ტანში (გ. წერეთ.).

ტანში მაერთიალებს (ეკ. გაბ.).

ზარის ხმაზე ტანში მაერთიალებს (გ. ფანჯ.).

მისსიცილზე მაერთიალებს (რ. ბეჟან.).

მაერთოლებდა, მაზიზინებდა, როგორც ციებ-ციხელებიან ავაღ-
შყოფს (კ. ლორთქ.).

თუ ამ ტიპის ზმნა დრო-კილოთა მეორე წყების ფორმითაა წინა-
დადებაში, მასთან დაკავშირებული სახელი (მორფოლოგიური ობიექტი),
როგორც წესი, მიცემით ბრუნვაში დგას უსუბიექტოდ ხმარებისას.

მთიელს გააერთოლა (ა. ყაზბ.).

ესმას უნებურად გააერთოლა (გ. წერეთ.).

დესპინეს ამ უკანასკნელ სიტყვებზე საშინლად გააერთოლა (ე. ნა-
ნოშ.).

მელანიას კი ერთი საშინლად გააერთოლა ტანში (ე. ნინოშ.).

ქეთოს საშინლად შეაერთოლა (ეკ. გაბ.).

შეაერთოლა შემზარავი ყმულის გამგონეს (კ. გამს.).

გვადის შეაერთოლა (ლ. ქიაჩ.).

შეაერთოლა ფილიპოს პირველ ყლაპზე (ს. კლდ.).

ხათუნას გააერთოლა (რ. ჯაფ.).

შეაერთოლა ქალს (ო. იოს.).

აქეთ მთებმა ყრუდ ხმა მისცეს, ქვემოთ ტყეს და სოფელს გააერთო-
ლა (ა. ხაზუტ.).

შემა ცხენმა ჩიჭროლა, შავი ბიჭი იჯდა ზედა, გოგოს ტანში შეაერთო-
ლა, გაიზინა ბილიყზედა (რ. მარგ.).

გმირ ერეკლეს გააერთოლა, განზე დასდო გრძელი ხმალი (ო. ჭელ.).

ანატოლის გააერთოლა, უხერხულობა იგრძნო („კომუნისტი“).

გააერთიალა ლევანს (გ. ფანჯ.).

სესეს შეაძაგძაგა (ბ. ჩხ.).

მურიკას გააძაგძაგა (ბ. ჩხ.).

ნუნუნს შეაზრიალა („დროშა“).

სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი ამ ზმნებთან ძალიან იშ-
ვიათია. მაგალითად:

აგერ მოტყდა ხმელი ტოტი ხისა. ლაწალუწით ძირს ბარტყანი მოიღო. დათოკ-
ლილმა ხეებმა ჩუმიად გაუხმაინეს. შეათრთოლა შველი, შიშით ყელში წაეჭი-
რა (თ. რაზვი.).

ინტერესს აღძრავს ის ფაქტი, რომ ამ ტიპის ზმნები ხან უსუბიექტოდ იხმარება წინადადებაში, ხან — სუბიექტით. მაინც უსუბიექტოდ ხმარება, როგორც აღინიშნა, დამახასიათებელია ამ ზმნებისათვის. ამასთან ერთად უნდა ითქვას შემდეგიც: უსუბიექტოდ ხმარებისას ამ ზმნებს ჩვეულებრივ ახლავს მასდარის ფორმები, რომლებიც მიზეზსა თუ დროს გამოხატავენ. მაგ., **შიშით, შიშისაგან, შიშზე ააცახცახა, ან მისდანახვაზე, დანახვისას ააცახცახა.**

ამის პარალელურ ფორმებში, როცა გაჩნდება რეალური სუბიექტი, ამ სუბიექტად მასდარის ფორმები გამოდის, სათანადო ბრუნვაში დასმული. ზოგჯერ ერთი და იგივე მწერალი ხმარობს ამ პარალელურ ფორმებს. მაგალითად:

ვინ მოსთვლის რავდენხელ გააცხელეზ-გააციებდა გოგიას ნაცვლის დანახვაზე (ე. ნინოშ.).

შდრ.

ვინ მოსთვლის რავდენხელ გააცხელეზ-გააციებდა გოგიას ნაცვლის დანახვა (იქვე, ვარიანტი).

ანდა, აკაკის ნაწარმოებებში გვხვდება, ერთი მხრივ, „შიშით აკანკალებს“, ხოლო, მეორე მხრივ, „რალცა შიში აკანკალებს“.

ამრიგად, როდესაც უსუბიექტო ზმნები მორფოლოგიურ ობიექტს დრო-კილოთა მეორე წყებაში სახელობით ბრუნვაში შეიწყობენ (გააცია იგი), მაშინ ისინი დღეს მიჰყვებიან ორპირიანი გარდამავალი ზმნის ყალიბს (აციებზ მას — გააცია იგი, გაუციებია იგი; სუბიექტი არა ჩანს). ხოლო, როცა მორფოლოგიური ობიექტი დრო-კილოთა მეორე წყებაში მათთან მიცემით ბრუნვაშია შეწყობილი (გააცია მას), მაშინ ისინი სამპირიანი ზმნის ყალიბს მიჰყვებიან (აციებზ მას — გააცია მას, გაუციებია მისთვის — არა ჩანს სუბიექტი, არა ჩანს არც ბრუნვაცვალებადი ობიექტი). ეს უკანასკნელი ყალიბია, როგორც ვნახეთ, უფრო ძველი და პირველი ამისაგანაა მიღებული.

რაც შეეხება ისეთ კონსტრუქციას, როდესაც კონკრეტული სუბიექტი ჩნდება („საზანდარმა ღამე ააცახცახა“ — გ. ლეონ.), ან კიდევ ისეთებს, როგორცაა „ცხელდება გააცხელეზს“ — ესენი მეორეული ჩანან: აქ უსუბიექტო უპირო ზმნებს დაძვნილი აქვთ სუბიექტი.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აციებზ ტიპის იმპერსონალური ზმნების დრო-კილოთა მეორე წყების ფორმებთან მორფოლოგიური ობიექტი, ბუნებრივია, მიცემითს ბრუნვაში იდგეს.

გააცია ზმნასთან ობიექტის მიცემითში ხმარება ძველი მოვლენა ჩანს და ამჟამად დამკვიდრებულია თანამედროვე ქართულ სალიტერ-

რატურო ენაში. ანალოგიურ კონსტრუქციას ქმნის ამავე ტიპის სხვა ზმნები (აკანკალებს, აცახცახებს, აჟრიალებს და სხვ.).

აღნიშნულ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე წყებაში ობიექტის სახელობით ბრუნვაში დასმა დიალექტური მოვლენაა (მაგ., ნ. ლომოურის ენაში) და, ამდენად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

გვექნება:

მას გააცია, გააციოს; (მისთვის) გაუციებია, გაეციებინა. მას გააცხელა, გააცხელოს; (მისთვის) გაუცხელებია, გაეცხელებინოს. მას გააჟრუოლა, გააკანკალა, გააძაგძაგა; (მისთვის) გაუჟრუოლებია, გაუკანკალებია, გაუძაგძაგებია და სხვა.